# ზუგდიდი

№6 (113118). 5 სექტემბერი, 2024 წელი. გაზეთის დაფუძნების თარიღი: 1930 წლის 1 მარტი



## “საპატიო ზუგდიდელები”, “ზუგდიდის საპატიო მოქალაქეები” და კლასიკური მუსიკის ფესტივალი ზუგდიდში

# “საპატიო ზუგდიდელები”, “ზუგდიდის საპატიო მოქალაქეები” და კლასიკური მუსიკის ფესტივალი ზუგდიდში

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და ა(ა)იპ “ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის“ ინიციატივით, დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ეზოში, ზუგდიდის კლასიკური მუსიკის ფესტივალი და საპატიო ზუგდიდელის დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.

ფესტივალში მონაწილეობდნენ:

***კონსტანტინე ყიფიანი, ოთარ ჯორჯიკია, ნინო სურგულაძე, არმაზ დარაშვილი, ფოლკლორული ანსამბლი “ოდოია” სიმფონიური ორკესტრი დავით მუქერიას ხელმძღვანელობით.***



ფესტივალთან ერთად, საპატიო ზუგდიდელის დაჯილდოების ცერემონიაც გაიმართა:

**“საპატიო ზუგდიდელის“ წოდების მფლობელები გახდნენ:**

***ავრორა შონია,*** – ექიმი-თერაპევტი, ქალაქის სამედიცინო საზოგადოების ღირსეული წევრი, სხვადასხვა დროს ქალაქ ზუგდიდის რეფერალური საავადმყოფოს და ,,მედფარმის“ ექიმი, წლების განმავლობაში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას და კითხულობდა ლექციებს ზუგდიდის სამედიცინო სასწავლებელში.

***დაზმირ ცანავა,*** – მედიცინის დოქტორი, სამედიცინო დაწესებულების გამორჩეული მენეჯერი. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ენგურქაღალდკომბინატის საავადმყოფოს ჯერ მშენებლობას, ხოლო შემდეგ იყო ამავე კლინიკის დირექტორი. დაზმირ ცანავა არის ღირსების ორდენის ორგზის კავალერი.

***კარლო ვეკუა,*** – საზოგადოება „ზუგდიდელის“ თანადამფუძნებელი და პრეზიდიუმის წევრი. პროფესიით ჩაის ტექნოლოგი და შრომის ინჟინერი, რომელმაც ქალაქს და თანაქალაქელებს სპორტზე ზრუნვით დაამახსოვრა თავი. წლების განმავლობაში იგი გახლდათ ზუგდიდის ცენტრალური სტადიონის დირექტორი“.

***მურმან ნაჭყებია,*** – საზოგადოება „ზუგდიდელის“ თავმჯდომარე. ინჟინერ-ელექტრიკოსი, სხვადასხვა დროს ზუგდიდის „ენგურქაღალდკომბინატის“ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამსახურის უფროსი, მოგვიანებით, საქქაღალდმრეწვში შემავალი ენგურქააღალდკომბინატის დირექტორი, შემდგომ კი საქქაღალდმრეწვის გენერალური დირექტორი. 1996 წლიდან დღემდე საზოგადოება „ზუგდიდის ქაღალდის“ დირექტორი.

***ალვერ იზორია,*** – ინჟინერ-ეკონომისტი, სხვადასხვა დროს საქართველოს საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სამეგრელო-ზემო სვანეთის ფილიალის ხელმძღვანელი, სხვადასხვა წლებში ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, ქალაქისა და რაიონის საკრებულოების წევრი, საქართველოს სახალხო კონტროლის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე. ამჟამად, ალვერ იზორია გახლავთ საზოგადოება „ზუგდიდელის“ პრეზიდიუმის წევრი.

**“ზუგდიდის საპატიო მოქალაქის“ წოდების მფლობელები გახდნენ:**

**ნანა კაციტაძე,** – საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, აკაკი წერეთლის სახელობის 1 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგი. მიღებული აქვს არაერთი სიგელი და ჯილდო, არის საქართველოს პრეზიდენტის ღირსების მედლისა და ღირსების ორდენის კავალერი, მინიჭებული აქვს სახალხო განათლების წარჩინებული პედაგოგისა და საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება. წლების მანძილზე გახლდათ განათლების განყოფილების მეთოდისტ-მასწავლებელი და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მოწვეული ლექტორი.

***იგორ ქობალია,*** – ინჟინერ-ტექნოლოგი, სახელმწიფო მოღვაწე, ადამიანი, რომელიც ორმოცდათხუთმეტი წლის მანძილზე სხვადასხვა პოზიციიდან ერთგულებით, მოკრძალებით და ღირსებით ემსახურა ქვეყანას და მშობლიურ ქალაქს, იყო ზუგდიდის რაიკომის პირველ მდივანი და ზუგდიდის რაიონის გამგებლის პირველ მოადგილე, მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე საქართველოს მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში. ღირსებისა და შრომის ორდენების კავალერი.

***თამაზ ცანავა,*** – სასოფლო-სამეურნეო დარგის მოღვაწე, პროფესორი. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი,სამეცნიერო და სადისერტაციო საბჭოების წევრი, მაგისტრანტების, დოქტორანტებისა და არაერთი საკანდიდატო დისერტაციის ხელმძღვანელი. პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად დაკავებული იყო ადმინისტრაციული საქმიანობით იყო ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის პრორექტორი. ღირსების ორდენის კავალერი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდების, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელის, „ღვაწლმოსილი ქუთაისელისა“ და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საპატიო უნივერსიტეტელის“ მედლების მფლობელი.

***სულხან პაპაშვილი,*** – ბიზნესმენი, უძრავი ქონებისა და მართვის საინვესტიციო დეველოპერული კომპანია „რედიქსი“ თანადამფუძნებელი, საინვესტიციო საბჭოს თავმჯდომარე.

***ლაშა პაპაშვილი,*** – კომპანია „რედიქს ჯგუფის“ დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი. 1996 წლიდან ჩართულია საბანკო ბიზნესში და იყო სს „რესპუბლიკა ბანკის“ გენერალური დირექტორი. მოგვიანებით, ის გახდა ბანკის უმსხვილესი აქციონერი და შემდეგ, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ქვეყნის ფინანსურ სისტემაში განხორციელებული პირველი, ყველაზე მასშტაბური საინვესტიციო გარიგების ავტორი.

ტრაგედია

## ზუგდიდში საცხოვრებელ კორპუსში გაჩენილ ხანძარს ორი ბავშვი ემსხვერპლა

***ზუგდიდში, გაჩენილ ხანძარს ორი ბავშვი ემსხვერპლა. ცეცხლი ბუკიას ქუჩაზე, საცხოვრებელი კორპუსის მეექვსე სართულზე გაჩნდა.***

სახლში მყოფი კიდევ ორი მცირეწლოვანის გადარჩენა კი მაშველებმა შეძლეს. .

ადგილზე რამდენიმე სახანძრო-სამაშველო ჯგუფთან ერთად მობილიზებული იყო პოლიცია.




ხსოვნა

## უკრაინაში ქართველი მებრძოლი ვასო ქარდავა დაიღუპა

უკრაინაში კიდევ ერთი ქართველი მებრძოლი **ვასო ქარდავა** დაიღუპა.

გავრცელებული ინფორმაციით, ის 118-ე ბრიგადის სადაზვერვო ასეულში მსახურობდა და სოლედარი-სივერსკის მიმართულებაზე იბრძოდა.

## უკრაინაში ქართველი მებრძოლი ვიქტორ კიპრიტიდი დაიღუპა

"ქართული ლეგიონის" ინფორმაციით, უკრაინაში კიდევ ერთი ქართველი მებრძოლი, 49 წლის **ვიქტორ კიპრიტიდი** დაიღუპა.

**ინფორმაციისთვის: რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან დღემდე 70-მდე ქართველი სამხედრო დაიღუპა.**



საკრებულო

## საკრებულოს სხდომა სამთვიანი ბოიკოტის შემდეგ

სამთვიანი ბოიკოტის შემდეგ, 12 აგვისტოს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გაიმართა. სხდომაზე "ქართული ოცნების" წევრები გამოცხადდნენ და კენჭისყრაზე რეგისტრაცია გაიარეს, თუმცა მათ მიერ დაინიცირებული საკითხები, რომელიც მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის **გიგა ფარულავას** და მისი მოადგილეების იმპიჩმენტს ეხებოდა, ჩავარდა.

სხდომის დასასრულს, საკრებულოს თავმჯდომარემ, გიგა ფარულავამ განაცხადა: "დღეს, გახლდათ 31 მაისის, საკრებულოს გაგრძელებული სხდომა. სამთვიანი ბოიკოტის და საბოტაჟის რეჟიმი დასრულებულია. დღის წესრიგით, გათვალისწინებული იყო 9 საკითხი, რომელიც შეეხებოდა თანამდებობების გადაყენების საკითხებს. პროცედურულად, აღნიშნული საკითხებმა ხმათა უმრავლესობა ვერ მოიპოვა, შესაბამისად, დღის წესრიგიდან აღნიშნული საკითხები მოხსნილია. იმედი მაქვს, დღეიდან, საკრებულო განაგრძნობს მუშობას ჩვეულ რეჟიმში, მოვუწოდებთ ყველა პარტიას და ფრაქციას მიიღონ აქტიურად მონაწილეობა საკრებულოს პროცედურულ საკითხებში."

***ინფორმაციისთვის:*** 31 მაისის საკრებულოს სხდომა კვორუმის არრსებობის გამო რამდენჯერმე ჩაიშალა. სხდომაზე არ ცხადდებოდნენ "ქართული ოცნების", "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" და "ხალხის ძალის" წევრები.



## შოვის ტრაგედიიდან ერთი წელი გავიდა



3 აგვისტოს, შოვის ტრაგედიიდან 1 წელი გავიდა, - გასული წლის 3 აგვისტოს ჩამოწოლილ მეწყერს 33 ადამიანი ემსხვერპლა. ერთი არასრულწლოვანის ცხედარი ამ დრომდე ვერ იპოვეს.

*ახალი ზუგდიდელები*

## ზუგდიდის მერიამ ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები დააჯილდოვა

ზუგდიდის მერიაში, 2023-2024 სასწავლო წლის წარჩინებული მოსწავლეების, ოქროსა და ვერცხლის მედალოსნების დაჯილდოება გაიმართა.

მედალოსნებს სიგელები და საჩუქრები ზუგდიდის მერმა მამუკა წოწერიამ, მოადგილეებთან ერთად გადასცა.

დაჯილდოვდა 177 წარმატებული მოსწავლე, მათ შორის 134 ოქროსა და 43 ვერცხლის მედალოსანია.

მამუკა წოწერიამ ახალგაზრდებს სიტყვით მიმართა, მიღწეული წარმატება მიულოცა და განათლების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

მამუკა წოწერიამ ახალგაზრდებს ეროვნული გამოცდების შედეგებიც მიულოცა. წელს 727 ზუგდიდელი კურსდამთავრებული ჩაირიცხა.

მერმა განსაკუთრებული მადლობა პედაგოგებს და მშობლებს გადაუხადა.



## ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამა სტუდენტებისთვის



ზუგდიდის მერის პირველი მოადგილე კონსტანტინე კაკავა, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე ოთარ ქადარიასთან ერთად, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში იმყოფებოდა და სტუდენტებს 4-თვიანი ანაზღაურებადი სტაჟირების სამთავრობო პროგრამა გააცნო.

სტაჟირების პროგრამაში ჩართვის მსურველთა განაცხადების მიღება უკვე დაწყებულია და 8 აგვისტოს ჩათვლით გაგრძელდა.

პროგრამის ფარგლებში,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ, საჯარო უწყებაში ანაზღაურებადი სტაჟირების 8 ვაკანსიაზე კონკურსი გამოაცხადა.

მერიის გარდა, 3 ვაკანსიაა შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში.

კურსდამთავრებულთა შესარჩევი კონკურსი 2 ეტაპად განხორციელდება – პირველ ეტაპი გულისხმობს განაცხადების მიღებასა და გადარჩევას, ხოლო მეორე ეტაპი კანდიდატებთან გასაუბრებას.

*გვახსოვდეს*

## აფხაზეთის ომის დაწყებიდან 32 წელი გავიდა

14 აგვისტოს, აფხაზეთის ომის დაწყებიდან 32 წელი გავიდა.

აფხაზეთში 14 აგვისტოს დაწყებული საომარი მოქმედებების ძირითადი ფაზა 13 თვე და 13 დღე გაგრძელდა და 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმის დაცემით დასრულდა.

ომის შედეგად აფხაზეთის ტერიტორიის დატოვება 300 ათასამდე ადამიანს მოუწია. არსებული ინფორმაციით, საომარი მოქმედებების შედეგად, ქართული მხრიდან ჯარისკაცებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის სახით 10 ათასამდე ადამიანი შეეწირა.

## აგვისტოს ომიდან 16 წელი გავიდა

8 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომიდან 16 წელი გავიდა.

ოფიციალური ინფორმაციით, 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 170 მოსამსახურე, შინაგან საქმეთა სამინისტროს 14 თანამშრომელი და 224 სამოქალაქო პირი დაიღუპა.

დაჭრილ და დაშავებულ სამოქალაქო და სამხედრო პირთა რაოდენობა სულ 2 232-ს შეადგენს, მათ შორის, 1045 პირი სამხედრო მოსამსახურეა.

## აფხაზეთის ომის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგული 16 იდენტიფიცირებული პირის გადმოსვენება და ოჯახებისთვის დაბრუნება მოხერხდა

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინფორმაციით, სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ერთობლივი თანამშრომლობით, ქართველი და აფხაზი მონაწილეებისგან შემდგარი საკოორდინაციო მექანიზმის ფარგლებში, ამჯერად უგზო-უკვლოდ დაკარგული 16 იდენტიფიცირებული პირის გადმოსვენება და ოჯახებისთვის დაბრუნება მოხერხდა, მათგან 7 სამხედრო და 9 მშვიდობიანი მოქალაქეა.

შეიარაღებული მოქმედებების დროს დაღუპულთა სამოქალაქო პანაშვიდი ორი დღის განმავლობაში სამების საკათედრო ტაძარში გაიმართება. 4 მებრძოლს დიღმის ძმათა სასაფლაოზე, დანარჩენებს კი, ოჯახების გადაწყვეტილებით,სხვადასხვა ლოკაციაზე,მათ შორის საგვარეულო სასაფლაოებზე სამხედრო პატივით დაკრძალავენ.

1990-იანი წლების შეიარაღებული მოქმედებებისა და 2008 წლის აგვისტოს ომში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების მექანიზმების ფარგლებში, მუშაობის აქტიური ფაზა 2013 წლიდან დაიწყო. ამ დრომდე, მექანიზმების ფარგლებში, ნაპოვნია 621 ადამიანის ნეშტი, მათგან იდენტიფიცირებულია 316. 2000-მდე ადამიანი ჯერ კიდევ უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიიჩნევა.

## ანაკლიის განვითარებისთვის ბელგიური კომპანია იმუშავებს



ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის საზღვაო ინფრასტრუქტურისა და სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისთვის გამოცხადებულ საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულად ე.წ. დიდი ოთხეულიდან, მსხვილი ბელგიური კომპანია Jan De Nul **(იან დე ნული) შეირჩა.**

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ, მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ევროპული კომპანია ანაკლიაში ნავსადგურის აკვატორიის დაღრმავებით და ტალღისმჭრელის/ტალღმტეხელის მშენებლობის სამუშაოებს განახორციელებს.

"კომპანია "იან დე ნული" სატენდერო კომისიამ საერთაშორისო კონსულტანტების ჩართულობით საუკეთესოდ მიიჩნია და უკვე გაეგზავნა მოწვევა ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკებების დასაწყებად/ხელშეკრულების გასაფორმებლად.

1938 წელს დაფუძნებული კომპანიის ბრუნვა 2,5 მლრდ ევროს შეადგენს და მას 7000-ზე მეტი ადამიანი ჰყავს დასაქმებული. კომპანია Jan De Nul აქტიურად იყო ჩართული პანამის არხის გაფართოების პროექტში და აქვს მიმდინარე და დასრულებული პროექტები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში, მათ შორის, ევროპაში, გალფის ყურეში, აფრიკასა და სხვ.

პორტის პირველი ფაზის გამტარუნარიანობა 600 ათასი კონტეინერი წელიწადში, ხოლო საორიენტაციო ღირებულება – 600 მლნ აშშ დოლარია. ასევე, იგეგმება ნავსადგურის მიმდებარედ თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის საკითხი, რაც დამატებით სამუშაო ადგილებს წარმოშობს და მოიზიდავს ინვესტიციებს."- ნათქვამია სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

განათლება

## შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა 2024 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საბოლოო შედეგები გამოაქვეყნა.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, წელს უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა 32 000-ზე მეტმა აბიტურიენტმა, რაც ჩარიცხვის უფლების მქონე გამოსაცდელების დაახლოებით 80%-ს შეადგენს.

"2024 წელს დაფინანსდა 11 600 -ზე მეტი გამოსაცდელი. სახელმწიფო გრანტი მოიპოვა 6 500-ზე მეტმა აბიტურიენტმა. აქედან – 100%-იანი სახელმწიფო გრანტი მიიღო 1 000-ზე მეტმა აპლიკანტმა, 70%-იანი – 1 400-ზე მეტმა გამოსაცდელმა, 50%-იანი გრანტი კი – 4 000-ზე მეტმა აბიტურიენტმა. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხა 5 000-ზე მეტი გამოსაცდელი. ქართულ ენაში მომზადების პროგრამებზე სწავლას – 1 600 – მდე აპლიკანტი გააგრძელებს.

2024 წელს მთელი საქართველოს მასშტაბით სულ გახსნილი იყო 24 საგამოცდო ცენტრი. გამოცდებისათვის 80 000-მდე აპლიკანტი დარეგისტრირდა, მათ შორის – ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის – 47 000-ზე მეტი აბიტურიენტი; სტუდენტთა საგრანტო კონკურსისათვის – 3 000-ზე მეტი სტუდენტი; საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის რეგისტრაცია 10 000-ზე მეტმა მაგისტრანტობის კანდიდატმა გაიარა, მასწავლებლის გამოცდაზე მონაწილეობის სურვილი კი 18 900-ზე მეტმა აპლიკანტმა გამოთქვა."-ნათქვამია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.




## ზუგდიდში, 1700 დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით, 7 მრავალსართულიანი კორპუსი აშენდება

დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ინფორმაციით, ზუგდიდში, 1700 დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით, 7 მრავალსართულიანი კორპუსი აშენდება.

მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დასრულებულია და მშენებლობა უახლოეს დღეებში დაიწყება. პროექტის ღირებულება 191 მილიონ ლარზე მეტს შეადგენს.

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, კეთილმოწყობილი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის განკუთვნილი ტერიტორია ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ გიორგი ცაგარეიშვილმა, დევნილთა სააგენტოს დირექტორმა ზურაბ უტიაშვილმა, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი გუგუჩიამ და ზუგდიდის მერმა მამუკა წოწერიამ მოინახულეს.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, განსახლების უპრეცედენტოდ მასშტაბური პროგრამა, 2023 წელს დაიწყო. პროექტის ფარგლებში, საცხოვრებელ ფართს, ჯამში, 13 000 დევნილი ოჯახი მიიღებს.

# “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებაზე მორგებული ადგილობრივი ბიუჯეტი“

ასოციაცია “დეამ“ განახორციელა პროექტი “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებაზე მორგებული ადგილობრივი ბიუჯეტი“. პროექტის მიზანი იყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში შშმ პირთა საჭიროებებზე მორგებული სერვისების ასახვის ხელშეწყობა ადვოკატირების გზით. პროექტის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა მტკიცებულებაზე დაფუძნებული რეკომენდაციების მომზადება-ინიცირება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში, შშმ პირთა საჭიროებებზე მორგებული სერვისების შემუშავება–ამოქმედებისთვის. კვლევის მიზანი გახლდათ შეგვესწავლა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მოცემული მომსახურებების ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირებისთვის.

როგორც ასოციაცია „დეას“ აღმასრულებელი დირექტორი მადონა ხარებავა, “ზუგდიდელებთან“ ამბობს, კვლევამ აჩვენა, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში,მთელი ქვეყნის მსგავსად, შშმ პირები, ერთ-ერთი მოწყვლადი ჯგუფია. ის განმარტავს, რომ მათთვის კვლავ პრობლემას წარმოადგენს ხარისხიანი განათლება და დასაქმება. ასევე, შშმ პირთა ოჯახების დიდი ნაწილი მნიშვნელოვან ეკონომიკურ დეპრივაციას განიცდის და მიუხედავად იმისა, რომ ბევრ მათგანს არ აქვს სოციალურად დაუცველის სტატუსი, ვერ ახერხებენ იმ სამედიცინო, თუ სხვა ხარჯის დაფარვას, რაც დამატებით აქვთ შშმ პირებს.

მადონა ხარებავა: “-პროექტის სამიზნე ჯგუფი გახლდათ შშმ პირები, მათი ოჯახის წევრები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. კვლევა დაეფუძნა შერეულ მეთოდებს. გამოყენებული იყო რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები. რაოდენობრივი მონაცემები შეგროვდა ადგილობრივი შშმ პირების სატელეფონო გამოკითხვით, ხოლო თვისებრივი მონაცემები, ადგილობრივ შშმ პირებთან და შშმ ბავშვების მშობლებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფებით. რაოდენობრივი კვლევა დაეფუძნა ხელმისაწვდომ შერჩევას, ხოლო თვისებრივი კვლევა მიზნობრივ შერჩევას. კვლევამ ძირითადი მიგნებები გამოავლინა. აღსანიშნავია ის გადადგმული დადებითი ნაბიჯები, რასაც ახორციელებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტი. კვლევამ,აჩვენა,როგორც მთელ საქართველოში, შშმ პირები მოწყვლად ჯგუფებს მიეკუთვნებიან. ისინი მეტ – ნაკლებად, იზოლირებულნი არიან და ნაკლებად ჩართული საზოგადოებივ ცხოვრებაში. აღმოჩნდა,რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შშმ პირებისთვის შეთავაზებული მომსახურებები მრავალფეროვანია სხვა მუნიციპალიტეტებში არსებულ სოციალურ პროგრამებთან შედარებით. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რეგუალარულად ვითარდება ახალი მომსახურებები. კვლევამა ასევე აჩვენა, რომ შშმ პირთა უმეტესობა არ არის გათვიცნობიერებული იმ სერვისების შესახებ,რაც მუნიციპალიტეტს გააჩნია და რა ვალდებულებაც აქვს. მესმის, ისინი, ყველა ბენეფიციართან ვერ მივლენ, მაგრამ აუცილებელია ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. აქ ჩვენი, არასამთავრობო ორგანიზაციების როლიც მნიშვნელოვანია. ჩვენ, ვცდილობთ, მაქსიმალურად მივაწოდოთ ინფორმაცია შშმ პირებს, მათ ოჯახებს, რომ ჩაერთონ ამა თუ იმ სერვისში. უნდა ითქვას,რომ მუნიციპალიტეტი სხვადასხვა შინაარსის ინფორმაციებს ავრცელებს სოციალური ქსელებით, მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ყველას არ შეუძლია, განსაკუთრებით ასაკოვან ადამიანებს და შშმ მარტოხელა პირებს, ისარგებლონ ინტერნეტით. ამიტომ, აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ ინფორმირებულობის სხვადასხვა მექანიზმი და მეთოდი. ამ პროცესში მნიშვნელოვანია მერიის ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლების ჩართულობა. კარგი იქნება, თუ ადმინისტრაციული ერთეულების შენობაზე გამოიკვრება საინფორმაციო დაფა, ამა თუ იმ სერვისის შესახებ. კიდევ ერთი დიდი პრობლება, რომელსაც შშმ პირები განიცდიან, არა მხოლოდ ზუგდიდის მუნციპალიტეტში, ზოგადად საქართველოში, ის არის, რომ შშმ პირებს არ მიეწოდებათ ინფორმაცია მათთვის გასაგებ ენაზე. ამ კუთხითაც ძალიან ბევრია სამუშაო.




კვლევამ გამოავლინა თითქმის იგივე საჭიროებები, რაც 2019 წლის კვლევის დროს გამოვლინდა. სიმართლე გითხრათ, ეს ჩვენთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. არადა, 2020 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი შშმ პირთა უფლებების დაცვის შესახებ. თურმე, ამ დროის განმავლობაში, ქვეყანაში თითქმის არაფერი შეცვლილა.

ადგილობრივ შშმ პირებში კვლავ აქტუალურია ფინანსური დახმარება და ის მომსახურებები, რომლებიც ფინანსურ და მატერიალურ მდგომარეობას ეხება: კომუნალური გადასახადების თანადაფინანსება, მგზავრობის ხარჯების თანადაფინასება, სამედიცინო მომსახურებების ხარჯების თანადაფინანსება და საკვებით უზრუნველყოფა. გამოიკვეთა “პერსონლაური ასისტენტის“ მომსახურების მნიშვნელობა განსაკუთრებით შშმ ბავშვებისთვის. 2025 წლიდან, ახალი კანონი, ავალდებულებს ნებისმიერ მუნიციპალიტეტს,რომ დანერგოს ეს სერვისი. ამ სერვისის პილოტირება აჭარაში და საქართველოს რამდენიმე რეგიონში უკვე მოხდა არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით. “პერსონალური ასისტენტის სერვისი“, რომ დაინერგოს,მუნიციპალიტეტებმა,გარკვეული სამუშაოები უნდა განახორციელონ. “პერსონალური ასისტენტის სერვისი“ ძალიან მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამ მიმართულებით, ჯერ კიდევ არაფერი არ არის გაკეთებული. კვლევის შედეგების ნახვის შემდეგ, “პერსონალური სერვისის“ შესახებ სოციალური რგოლი დავამზადეთ, რომელიც გადის “ევრონიუს ჯორჯიაზე“. კლიპში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი საუბრობს „პერსონალურ ასისტენტზე“ და მის მნიშვნელობაზე.

პროექტის განხორციელების პერიოდში, მოხდა “უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის“ მიღება, რამაც გამოიწვია ხელისუფლების დამოკიდებულების შეცვლა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან და კომუნიკაციის შესუსტების გამო, ვერ ჩატარდა პროექტით დაგეგმილი ტრენინგები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. მიუხედავად ამისა, ჩვენ, პროექტის შედეგად მიღებული კვლევის შედეგებს, რეკომენდაციებს და მონიტორინგის ანგარიშს გავუგზავნით ხელისუფლებას, რომ შშმ პირთა საჭიროებები აისახოს 2025 წლის ბიუჯეტში. ვიმედოვნებთ, რომ 2025 წლის ბიუჯეტის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება კვლევის შედეგები.”

**საუბარი ჩაიწერა** ეკა ფარულავამ

**პროექტი “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებაზე მორგებული ადგილობრივი ბიუჯეტი“ პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის** მიერ.

არჩევნები

## ცესკო-მ 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრები განსაზღვრა

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო) 2024 წლის 26 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნებისთვის საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრები განსაზღვრა.

ცესკოს ინფორმაციით, არჩევნებისთვის მზადების პროცესში საარჩევნო სუბიექტებისთვის თანაბარი საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნით, კანონმდებლობით შესაძლებელი უადრესი ვადის გათვალისწინებით, საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრის განსაზღვრის მიზნით წილისყრის პროცედურა დღევანდელ სხდომაზე გაიმართა.

„აღსანიშნავია, რომ რიგითი ნომრების განაწილების პროცესი ლაივ რეჟიმში გადაიცემოდა და ყველა დაინტერესებულ პირს ჰქონდა შესაძლებლობა თვალყური ედევნებინა აღნიშნული პროცედურებისთვის. სხდომას ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლებიც ესწრებოდნენ.

საარჩევნო სუბიექტებისთვის რიგითი ნომრები ცესკომ როგორც წილისყრით, ისე შესაბამისი უფლებამოსილი პარტიების მიერ კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში (არაუგვიანეს 17 ივლისი) წარდგენილი განცხადებების საფუძველზე მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე განსაზღვრა", – აღნიშნულია ცესკოს ინფორმაციაში.

**საარჩევნო სუბიექტებს განესაზღვრათ შემდეგი რიგითი ნომრები**

**№1 – „კი ევროპას – სტრატეგია აღმაშენებელი";**

**№2 – „ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის";**

**№3 – „საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტია";**

**№4 – „ახალი ერთობა გვარამია მელია";**

**№5 – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა";**

**№6 – „საქართველოს ევროპელი დემოკრატები";**

**№7 – „ალეკო ელისაშვილი – მოქალაქეები";**

**№8 – „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი";**

**№9 – „ლელო საქართველოსთვის";**

**№10 – „საქართველოს ლეიბორისტული პარტია";**

**№11 – „საქართველოს რესპუბლიკური პარტია";**

**№12 – „ჩვენი გაერთიანებული საქართველო";**

**№13 – „საქართველოს სოციალ – დემოკრატიული პარტია";**

**№14 – „მესამე გზა";**

**№15 – „სამართლიანობისთვის";**

**№16 – „შეცვალე საქართველო";**

**№17 – „საქართველო";**

**№18 – „პროგრესი და თავისუფლება";**

**№19 – „დემოკრატთა ალიანსი";**

**№20 – „თავისუფალი საქართველო";**

**№21 – „ტრიბუნა";**

**№22 – „კანონი და სამართალი";**

**№23 – „თავისუფალი არჩევანი – ახალი ალტერნატივა";**

**№24 – „მწვანეთა პარტია";**

**№25 – „გახარია საქართველოსთვის";**

**№26 – „მემარცხენე ალიანსი";**

**№27 – „ქართველ ერთობა";**

**№36 – „ახალი პოლიტიკური ცენტრი";**

**№41 – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო";**

**№48 – „ანა დოლიძე – ხალხისთვის".**

## დავით კოდუა "ოცნებამ" საპარლამენტო არჩევნებში ზუგდიდის დელეგატად წარადგინა



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ 22 დელეგატი წარადგინა, რომლებიც რეგიონებში „ქართული ოცნების" საარჩევნო კამპანიას გაუძღვებიან. ზუგდიდში მმართველი პარტიის დელეგატი დავით კოდუა იქნება.

"ზუგდიდში ჩვენი კანდიდატი დელეგატი იქნება დათო კოდუა, რომელიც არის გუბერნატორის ყოფილი მოადგილე, ჩვენი გუნდის წევრია 2012 წლიდან."- განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

## კოალიციამ ახალი ოფისი გახსნა



ზუგდიდში, პოლიტიკურმა გაერთიანებამ "კოალიცია ცვლილებისთვის" ახალი ოფისი გახსნა.

პოლიტიკური გაერთიანება „კოალიცია ცვლილებისთვის – გვარამია, მელია, გირჩი, დროას" ოფისები გახსნილია ფოთშიც და ჩხოროწყუშიც.

## გახარიამ პარტიის ზუგდიდის ოფისი გახსნა



ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ პარტიის "საქართველოსთვის" ზუგდიდის ოფისი გახსნა და შეხვედრა ადგილობრივ მხარდამჭერებთან გამართა.

გიორგი გახარია თავის თანაგუნდელებთან, ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარესთან გიგა ფარულავასთან, სენაკი-ჩხოროწყუ-ზუგდიდის დეპუტატთან ალეკო მოწერელიასთან და ზუგდიდის ყოფილ მერთან გეგა შენგელიასთან ერთად წარსდგა მხარდამჭერების წინაშე, თუმცა მას არც დელეგატები წარუდგენია და არც კანდიდატები დაუსახელებია.

კულტურა

## "მეგრელთა საცხოვრისი"

ზუგდიდში, დადიანების დედოფლისეული სასახლის



შიდა ეზოში პირველად გაიხსნა გამოფენა, "მეგრელთა საცხოვრისი", რომელმაც გააცოცხლა სამეგრელოს ეთნოგრაფიული ყოფის ისტორია.

დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ყოფისა და ეთნოგრაფიის ფონდი შესაძლებლობას იძლევა ვიზიტორთა წინაშე გაცოცხლდეს საქართველოს უძველესი კუთხის, სამეგრელოს წარსული.

გამოფენის გახსნას სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი გუგუჩია, მოადგილეებთან, ზუგდიდის მერთან და მოწვეულ სტუმრებთან ერთად დაესწრო.

დამთვალიერებელს გამოფენის მნიშვნელობაზე ესაუბრა მუზეუმის დირექტორი დავით ოყუჯავა.

გამოფენის მიზანია დამთვალიერებელს მოუთხროს, როგორ შეიცვალა დროსა და სივრცეში ადგილობრივების ყოფა-ცხოვრება. გამოფენაზე მნიშვნელოვნადაა წარმოდგენილი კოლხეთში ვაზისა და მარნის კულტურის ტრადიციები.

## ბიბლიოთეკაში გაიმართება "ლაზური წიგნიერების დღეები"

17-18 აგვისტოს ზუგდიდის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში განხორციელდება პროექტი – "ლაზური წიგნიერების დღეები".

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში ზუგდიდს ეწვევიან როგორც სარფელი ლაზები, ისე თურქეთში მოქმედი ლაზური ენისა და კულტურის სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები და დამოუკიდებლად მომუშავე პირები, რომლებიც ზრუნავენ ლაზური ენის გადარჩენაზე, გამოსცემენ სამეცნიერო და მხატვრულ ლიტერატურას, ქმნიან მასმედიასა და მუსიკას.

17 აგვისტოს, 17:00 საათზე, ზუგდიდის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიხსნება ლაზური კუთხე,რომელსაც ჩამოსული სტუმრები გადასცემენ ლაზურ გამოცემებს. ასევე ბიბლიოთეკაში გაიმართება შეხვედრა ლაზ ავტორებსა და გამომცემლებთან.

18 აგვისტოს სტუმრები დაათვალიერებენ სამეგრელოს ღირშესანიშნავ ადგილებსა და ისტორიულ ძეგლებს.



## "მარულა 2024"

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ორულუს ადმინისტრაციულ ერთეულში, ტრადიციული ტურნირი ცხენოსნობაში "მარულა 2024" გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ცხენოსნებმა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ორულუს,ერგეტის,დარჩელის ადმინისტრაციული ერთეულებიდან და ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისისა და ხეთის ადმინისტრაციული ერთეულებიდან.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრის ინფორმაციით, გარბენი 4 ეტაპად გაიმართა:1000, 2000, 4000 და 6000 მეტრიან დისტანციებზე.

1000 მ-იან დისტანციაზე პირველობა ერგო მათე ოყუჯავას (ორულუ), მეორე ადგილზე ზამირი ძიმცეიშვილი (ერგეტა) გავიდა,ხოლო მესამე ადგილი ლუკა აბულაძეს (ერგეტა) ერგო.

2000 მ-იან დისტაციაზე პირველი ადგილი დაიკავა ცხენოსანმა გიორგი ჭაკუამ (პირველი მაისი), მეორე ადგილი წილად ხვდა იური აბშილავას (ორულუ), ხოლო მესამე ადგილზე ირაკლი ლატარია (ორულუ) გავიდა.

4000 მ-იან დისტანციაზე გაიმარჯვა დიმა კუკავამ (ხეთა), მეორე ადგილზე გოგა თითმერია (ერგეტა) გავიდა, ხოლო მესამე ადგილი ნიკოლოზ ცაავამ (ორულუ) დაიკავა.

6000 მ-იან დისტანზიაზე პირველი მივიდა მალხაზ აბშილავა (ორულუ), ხოლო მეორე ადგილი გოგა თითმერიამ (ერგეტა) დაიკავა.

გამარჯვებულებს სამახსოვრო პრიზები და სიგელები ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ „სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორმა გოჩა ჩიქოვანმა და ზუგდიდის მერის წარმომადგენელმა ორულუს ადმინისტრაციულ ერთეულში ლადო ჯაბუამ გადსცეს.



## ნიკოლოზ შამათავას მორიგი წარმატებები

ნიკოლოზ შამათავამ, ბარსელონაში გამართულ რიგით



24-ე „სანტ – მარტის საერთაშორისო ტურნირში" ფიდეს რეიტინგით 217 ქულა მოიმატა, ხოლო "სიტჯესის საერთაშორისო ტურნირზე" აიღო საერთაშორისო ოსტატის პირველი ნორმა და გახდა ფიდეს ოსტატი.

ნიკოლოზ შამათავა, 21 აგვისტოს პრაღაში 18 წლამდე ახალგაზრდებს შორის გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მიიღებს მონაწილეობას, ხოლო 20 ოქტომბერს იასპარეზებს 16 წლამდე ახალგაზრდებს შორის გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, ბრაზილიის ქალაქ ფლორიანოპოლისში.

გამომცემელი: შპს „გაზეთ „ზუგდიდის" რედაქცია
მისამართი: ზუგდიდი, კოსტავას №56, მეორე სართული. ტელ 577 464070
ნომრის ბეჭდვის სპონსორია:
შპს. Best Copi